სკოლის მოთხოვნები ვაქცინაციის შესახებ
პენსილვანიის სკოლების მოსწავლეებისთვის
(SCHOOL VACCINATION REQUIREMENTS FOR ATTENDANCE IN PENNSYLVANIA SCHOOLS)

ნებისმიერი კლასის მოსწავლე ბავშვებისთვის სავალდებულოა შემდეგი:

• ტეტანუსის, დიფტერიისა და აცელულარული ყივანახველის 4 დოზა* (1 დოზა მე-4 დაბადების დღეს ან მის შემდეგ)
• პოლიოს 4 დოზა (მე-4 დოზა მე-4 დაბადების დღეს ან შემდგომ და სულ მცირე 6 თვის შემდეგ წინა დოზის მიღებიდან)**
• წითელას, ყბაყურას და რუბელას 2 დოზა***
• B ჰეპატიტის 3 დოზა
• ვარიცელას 2 დოზა (ჩუტყვავილა) ან იმუნურობის ცნობა

*ხშირად გაიცემა, როგორც DTP ან DTaP ან, თუ ეს სამედიცინო კუთხით გამართლებულია, DT ან Td
**მეოთხე დოზა არ არის აუცილებელი, თუ მესამე დოზა მიღებულ იქნა 4 წლის ან უფროს ასაკში და სულ მცირე 6 თვის შემდეგ წინა დოზის მიღებიდან.
***ხშირად, გაიცემა, როგორც MMR

სკოლის პირველ დღეს, თუ ბავშვისთვის არ არის დაშვებული გამონაკლისი სამედიცინო/რელიგიური შეზღუდვების გამო, ბავშვს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი დოზა ვაქცინა გაკეთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი.

• თუ ბავშვს არ აქვს გაკეთებულ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოზა, საჭიროებს დამატებით დოზებს და მომდევნო დოზა გამართლებულია სამედიცინო კუთხით, ბავშვმა უნდა მიიღოს ეს დოზა სკოლის დაწყებიდან 5 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი. თუ მომდევნო დოზა არ არის საბოლოო, ბავშვმა უნდა წარადგინოს სამედიცინო გეგმა (წითელი და თეთრი ბარათი) სკოლის დაწყებიდან 5 დღის ვადაში, რომ მიღებულ იქნას იმუნიზაციის შესაბამისი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი.

• თუ ბავშვს არ აქვს გაკეთებულ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოზა, საჭიროებს დამატებით დოზებს და მომდევნო დოზა გამართლებულია სამედიცინო კუთხით, ბავშვმა უნდა წარადგინოს სამედიცინო გეგმა (წითელი და თეთრი ბარათი) სკოლის დაწყებიდან 5 დღის ვადაში, რომ მიღებულ იქნას იმუნიზაციის შესაბამისი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი.

• აუცილებელია სამედიცინო გეგმის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი.

მე-7 კლასის მოსწავლეებისთვის:

• ტეტანუსის, დიფტერიის, აცეცულარული ყივანახველის (Tdap) ვაქცინების 1 დოზა მე-7 კლასელისთვის პირველ დღეს.
• მენინგოკოკური კონიუგირებული ვაქცისნის (MVC) 1 დოზა მე-7 კლასელისთვის პირველ დღეს.

მე-7 კლასის დაწყების პირველ დღეს, თუ ბავშვისთვის არ არის დაშვებული გამონაკლისი რელიგიური ან სამედიცინო/ფილოსოფიური შეზღუდვების გამო, ბავშვს უნდა ჰქონდეს ყველა ჩამოთვლილი ვაქცინა გაკეთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში **არსებობს გარიცხვის რისკი.**

მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის:

• MCV-ის 1 დოზა მე-12 კლასის დაწყების პირველ დღეს. თუ 1 დოზა მიღებული იყო 16 წლის ან უფროსი ასაკის დროს, ეს ჩაითვლება მე-12 კლასის დოზად.

მე-12 კლასის დაწყების პირველ დღეს }ბავშვისთვის არ არის დაშვებული გამონაკლისი რელიგიური ან სამედიცინო/ ფილოსოიური შეზღუდვების გამო, ბავშვს უნდა ჰქონდეს ყველა ჩამოთვლილი ვაქცინა გაკეთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს გარიცხვის რისკი.

მე-7 და მე-12 კლასებში სწავლისთვის აუცილებელი ვაქცინების მოთხოვნები მოქმედებს ყოველ წელს.

ამ მოთხოვნებისთვის დაშვებულია შემდეგი გამონაკლისები: სამედიცინო მიზეზები, რელიგიური რწმენა ან ფილოსოფიური/ძლიერი მორალური ან ეთიკური მიზეზები. თუ ბავშვისთვის დაშვებულია იმუნიზაციის გამონაკლისი, ის შეიძლება არ დაიშვას სკოლაში ისეთი დაავადებების გავრცელების დროს, რომლის წინააღმდეგადაც კეთდება ვაქცინები.